ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #27

2023წ. 20 ოქტომბერი 11.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ვალერი ჭიღლაძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ნინო ზაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

სხდომას თავმჯდომარეობდა:
კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი,

ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.093, ფართობი - 1 047კვ.მ; N01.10.10.020.067, ფართობი - 2 753 კვ.მ; N01.10.10.020.131, ფართობი - 637 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-032327543-03 02.10.2023წ.

2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.838, ფართობი - 3 252 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-0323291127-03 18.10.2023წ.

3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-0323291129-03 18.10.2023წ

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის (პ/ნ 48001007541) დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი

# 12-0323291119-03 18.10.2023წ.

1. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.093, ფართობი - 1 047კვ.მ; N01.10.10.020.067, ფართობი - 2 753 კვ.მ; N01.10.10.020.131, ფართობი - 637 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე".

ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2 = 2.5-დან კ-2 = 3.5-მდე. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,792,944.80 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი და ოთხმოცი მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე.

2. მოისმინეს:

წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.838, ფართობი - 3 252 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე".

ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2 = 3.3-დან კ-2 = 3.7-მდე. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 554,545.45 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ორმოცდახუთი და ორმოცდახუთი მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე.

3. მოისმინეს:

ნინო ზაგაშვილმა კომისიის წევრებსგააცნო კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე.

ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2 = 3.5-დან კ-2 = 4.7-მდე. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,849,387.89 (ერთი მილიონ რვას ორმოცდაცხრა ათას სამას ოთხმოცდაშვიდი და ოთხმოცდაცხრა მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, გ.შარაშიძე, ა.ხუჯაძე, მ.კაკაურიძე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ზაგაშვილმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

4. მოისმინეს:

სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვალერი ჭიღლაძემ მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ყოფილი უფროსი გოგი ჩიქოვანი წარადგინა. საკრებულოს წევრებმა წარდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული 3 საკითხი,„ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ შეაფასა დადებითად (თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე) და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე